საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/60

ქ. ბათუმი 06 ივნისი, 2023 წ.

„ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №112 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს გამომცემლობის დირექტორის ნანა ხახუტაიშვილის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 23 0000562587, 18.05.2023) საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის №112 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებულ **N1 დანართში (ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი):**

ა) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბსუ-ს გამომცემლობის მიერ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა გამოიცემა ბსუ-ს გრიფით. მხოლოდ ბსუ-ს საგამომცემლო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს სასწავლო ლიტერატურა მიიჩნევა სახელმძღვანელოდ/დამხმარე სახელმძღვანელოდ.“;

ბ) მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) **გრიფის მინიჭება** – პუბლიკაციისათვის **ბსუ-ს ლოგოს და წარწერის ,,ბსუ-ს გამომცემლობა“** მინიჭება (წინამდებარე წესის შესაბამისად გამოცემულ სახელმძღვანელოს/დამხმარე სახელმძღვანელოს ენიჭება ბსუ-ს გრიფი, რომელიც მოიცავს ბსუ-ს ლოგოს, წარწერას „სახელმძღვანელო“/“დამხმარე სახელმძღვანელო“ (შესაბამისი სასწავლო კურსის დასახელების მითითებით) და წარწერას ,,ბსუ-ს გამომცემლობა).“;

გ) მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო ლიტერატურის გარე ფარული რეცენზირება, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების

გათვალისწინებით და უფლებამოსილია შესაბამისი საფუძვლისა და დასაბუთების შემთხვევაში, მომზადებული მასალა უკან დააბრუნოს ხელახალი განხილვისთვის.“;

დ) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წინამდებარე წესის მიხედვით ,,სახელმძღვანელოდ“ მიჩნეული (აღიარებული) ნაშრომის ბსუ-ს გამომცემლობის მიერ გამოცემა **ხორციელდება:**

ა) **ნაშრომის ავტორისა და ბსუ-ს თანადაფინანსებით** - 50/50, როგორც წესი, 100 ეგზემპლარის ტირაჟით, თუმცა დასაშვებია სხვა რაოდენობით გამოცემა, პროპორციული თანადაფინანსების გათვალისწინებით. ასევე დასაშვებია ნაშრომის ავტორის დაფინანსებით, ავტორისათვის გადაცემის მიზნით, ტირაჟის ნახევარზე მეტი ან ნაკლები რაოდენობით გამოცემა (შესაბამისი ოდენობით საფასურის გადახდის შემთხვევაში);

ბ) **ბსუ-ს სრული დაფინანსებით - ბსუ-ს სასწავლო პროცესის საჭიროებისათვის** (როგორც წესი, 50 ეგზემპლარის ტირაჟით ან სხვა რაოდენობით გამოცემა, საჭიროებიდან გამომდინარე). ბსუ-ს ნაშრომის **სახელმძღვანელოდ აღიარებიდან** 5 წლის განმავლობაში დამატებითი ტირაჟით გამოცემის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, რომელიც აღსასრულებლად გადაეცემა ბსუ-ს გამომცემლობას.“;

ე) მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს გამომცემლობაში გამოცემული ნებისმიერი ნაშრომის 5 ეგზემპლარი რჩება ბსუ-ს გამომცემლობაში (ISBN-ის და ISSN-ის ცენტრში გასაგზავნად - 3 ეგზემპლარი და საგამომცემლო ნიმუშად - 2 ეგზემპლარი), 4 ეგზემპლარი გადაეცემა ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას, ხოლო 1 ეგზემპლარი - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას.“.

ვ) მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა-გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ბსუ-ში გამოცემული ნაშრომის 3 ეგზემპლარის ISBN და ISSN-ის ცენტრისათვის გაგზავნის ორგანიზება და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

ბ) ბსუ-ში გამოცემული ნაშრომების ამ მუხლით დადგენილი წესით განაწილების მიზნით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

გ) ბსუ-ს გამოცემული ნაშრომების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება (ნაშრომის დასახელების, ავტორის, პუბლიკაციის სტატუსის (სახელმძღვანელო/დამხმარე სახელმძღვანელო/სალექციო კურსი/სამეცნიერო ნაშრომი), საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს ოქმის თარიღის და ნომრის, გამოცემის ტირაჟის და სხვა საჭირო ინფორმაციის მითითებით).“.

ზ) მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-7 პუნქტი:

,,7. ბსუ-ში გამოცემული ნაშრომების წინამდებარე წესის შესაბამისად უფლებამოსილ **პირებზე განაწილება ხორციელდება** ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ (ბსუ-ს საწყობიდან), რომელიც უზრუნველყოფს გაცემის აღრიცხვას, გამოცემული ნაშრომის მიმღების ხელმოწერის დადასტურებით.“.

2. დადგენილება და წინამდებარე დადგენილების საფუძველზე მომზადებული ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის კოდიფიცირებული ვერსია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საგამომცემლო საბჭოს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**